ბ 499 +

# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი 30 ივლისი, 2015 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გიორგი სოლომონიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ენკო" (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე შიოლაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

## 1. შეთანხმების საგანი

1. ვინაიდან, შპს „ენკო" - სთან 2015 წლის 7 ივლისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1.1.1/10/455 ხელშეკრულებით *(ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზირი N97ა-ში მდებარე მძლეოსნობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა)* განსაზღვრული სამუშაოების დასრულების შემდგომ საჭიროა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობების ნაწილობრივი კორექტირება, ამასთან, ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 ივლისის N1403 განკარგულება) და მიმწოდებელმა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების ღირებულების ფაქტიურ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები – შემსყიდველი და მიმწოდებელი - შეთანხმდნენ:

1.1 სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული (ზოგიერთი) სამუშაოების ერთეული ფასები შემცირდეს ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება 284 457,9 ლარი შემცირდეს 75 217,34 ლარით და დანართის შესაბამისად განისაზღვროს 209 240,56 ლარით.

2. შეთანხმებას თან ახლავს სამუშაოების კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

**საფუძველი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 30 ივლისის N10-18/15211899 წერილი

## 2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2015 წლის 7 ივლისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1.1.1/10/455 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

## 3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კოდი: 204521794
**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე**
**გ. სოლომონია**

**მიმწოდებელი:**
შპს „ენკო"
ს/კოდი: 402004718
**შპს „ენკო" - ს დირექტორი**
**თ. შიოლაშვილი**

ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური
რ ე გ ი ს ტ რ ი რ ე ბ უ ლ ი ა
ხელშეკრულების № 1.1.1/10/455
სარეგისტრაციო № 499/1
რეგისტრაციის თარიღი: 31 07 2015 წ
ხელმოწერა

საქართველო. შპს "ენკო" 402004718 GEORGIA. "ENCO" LTD

# კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა

| | სამუშაოების ჩამონათვალი | განზ. ერთ. | რაოდენობა | ერთეულის ფასი | მთლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაზიანებული ა/ბეტონის საფარის ფრეზირება (საშუალო სისქით 5 სმ-მდე და გატანა) | მ2 | 1 750,00 | 3,55 | 6 212,50 |
| 2 | დაზიანებული ა/ბეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე | მ3 | 17,80 | 15,29 | 272,16 |
| 3 | არაკლდოვანი გრუნტის (ან ნაშალი მასალის) დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე | მ3 | 174,60 | 2,49 | 434,75 |
| 4 | დაზიანებული ბორდიურების დემონტაჟი და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე | მ3 | 14,40 | 5,42 | 78,05 |
| 5 | ბორდიურების ბეტონის საფუძვლის დაშლა პნევმატური ჩაქუჩებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე | მ3 | 11,20 | 63,29 | 708,85 |
| 6 | ბეტონის ახალი ბორდიურების (15*30) მოწყობა ბეტონის საფუძველზე | გ.მ. | 343,00 | 22,06 | 7 566,58 |
| 7 | არსებული თბოქსელის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით | მ3 | 15,00 | 18,00 | 270,00 |
| 8 | საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით (ფრაქციით 0-40) | მ3 | 174,60 | 22,00 | 3 841,20 |
| 9 | თხევადი ბიტუმის ან ბიტუმის ემულსიის მოსხმა | ლ | 2 413,95 | 1,30 | 3 138,14 |
| 10 | ნაწიბურების დამუშავება ხერხით | გ.მ. | 95,00 | 1,50 | 142,50 |
| 11 | თხევადი ბიტუმის მოსხმა ნაწიბურებზე | ლ | 33,25 | 1,30 | 43,23 |
| 12 | საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ა/ბეტონით სისქით 6სმ. | მ2 | 137,20 | 16,10 | 2 208,92 |
| 13 | საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 5 სმ. | მ2 | 698,40 | 15,12 | 10 559,81 |
| 14 | არსებული საკომუნიკაციო ჭების მოყვანა გზის ნიშნულზე, ბეტონის საფუძველზე | ც | 25,00 | 65,00 | 1 625,00 |
| 15 | საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 4 სმ. | მ2 | 5 225,80 | 12,40 | 64 799,92 |
| 16 | შემასწორებელი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით (0.0974 ტ/მ2) | ტ | 254,50 | 126,95 | 32 308,78 |
| 17 | ტროტუარის საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით | მ3 | 67,40 | 22,00 | 1 482,80 |
| 18 | ტროტუარის საფარის მოწყობა ქვიშოვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 3 სმ. | მ2 | 535,00 | 10,60 | 5 671,00 |
| 19 | სამშენებლო ნაგვის და/ან გრუნტის გატანა ნაგავსაყრელზე 15 კმ-მდე | ტ | 403,30 | 7,20 | 2 903,76 |
| | ჯამი | | | | 144 267,94 |
| | ზედნადები ხარჯები | 10% | | | 14 426,79 |
| | ჯამი | | | | 158 694,73 |
| | მოგება | 8% | | | 12 695,58 |
| | ჯამი | | | | 171 390,31 |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯი | 3% | | | 0,00 |
| | ჯამი | | | | 171 390,31 |
| | დღგ | 18% | | | 30 850,26 |
| | ჯამი | | | | 202 240,56 |
| | საექსპერტო დასკვნის ღირებულება | | | | 7 000,00 |
| | ჯამი | | | | 209 240,56 |

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე
გ. სოლომონია

შპს "ენკო"-ს
დირექტორი
თ. შიოლაშვილი